



# შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№25 (9.541)

13 ივლისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირაული გამოცემა

## ამინდი-გლეხების კიდევ ერთი თავისტკივილი



სანაპირო ნიჟარების გამო დედოფლისწყაროელ ფერმერებსა და გლეხებს ახალი თავის ტკივილი გაუჩნდა — უამინდობის გამო კომპანიები ყანებში ვერ შედიან, წვიმის შედეგად კი ხორბლისა და ქარის მოსავლიანობა მცირდება. მართალია, 11 ივლისს გამოცემის დასრულებამდე — სამუშაო ტაქტიკა მუშაობა დაიწყო, მაგრამ შეფერხებით. გადაჭარბებული ნალექის კვალი ჯერ ისევ ატყვია მიწას.

„გადაჭარბებული წვიმის შედეგად ქერი ნევაბა და ასეთ თავთავს კომპანი ვეღარ იღებს. ხორბალს ცოტა კიდევ აკლია შემოსვლა და ჯერ ის არ დაწვება, მაგრამ მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი უარესდება, წონაშიც იკლებს და ნებოგვარაც კნინდება, რაც ფქვილის ხარისხის გაუარესებას იწვევს“, — განმარტა ფერმერმა ბაჩუკი გონაშვილი. მისი განცხადებით, მას ქერი 75 ჰექტარზე ეთესა,

ალემა უკვე მოასწრო და ჰექტარზე საშუალოდ 2 ტონამდე მოსავალი მიიღო.

ალობის პერიოდში ამინდის გაუარესების გამო შექმნილ პრობლემებზე სხვა ფერმერებიც საუბრობენ:

„უამინდობამ მოსავლის ალემა გააჩიანურა. წვიმამ ქერის ნათესები გააფუჭა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ახლა მოსავლის ალემა განახლდა და იმან, ვინც კარგად მოუარა, მოსავალიც არცთუ ურიგო მიიღო. ერთ ჰექტარზე, ქერის მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი 3 ტონას აღწევს.“ — განაცხადეს ჩვენთან საუბრისას დედოფლისწყაროელმა ფერმერებმა და დასძინეს, რომ გაცილებით ცუდ დღეში ის ფერმერები აღმოჩნდნენ, რომელთაც ნაკვეთში ხორბალი აქვთ დათესილი.

„ხორბლის მოსავლის 40 პროცენტი გაფუჭებულია. მასზე უარყოფითი გავლენა მართისა და აპრილის ამინდებმა

იქონია. ჯერ ქარმა და შემდეგ გვალვამ ნიადაგი გამოაშრო და ნათესის აღმოცენებას ხელი შეუშალა“ — აცხადებენ ნირნაშხდარი ფერმერები. თუმცა, ზოგიერთი მათგანის ინფორმაციით, ხორბლის ნათესის ის ნაწილი, რომელიც გადარჩა, ცუდი არ უნდა იყოს. ინფორმაცია ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის შესახებ კი იმ მოტივით არ არსებობს, რომ მოსავლის ალემა ჯერ ახლა დაიწყო, ისიც იმ ნაკვეთებში, სადაც მიწა უკვე გამოშრა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გლეხებს უხვმა ნალექმა მოუტანა, ხორბლის ყანებში დიდი რაოდენობით წამოსული მწვანე ბალახია.“ მოსავალი თუ დროზე არ ავიღეთ, ნათესებს ბალახი გადაუვლის და მოსავლის ალემა კიდევ უფრო გაძნელდება“ — ამბობენ ფერმერები. ერთადერთი, რასაც წვიმა მოუხდა, მზესუმზირის ნათესებია. ის ახლა ყვავილობის ფაზაში იმყოფება და ნესტიანი

ამინდი მისთვის ხელსაყრელია. დედოფლისწყაროელი ფერმერები უამინდობასთან ერთად იმ მიზეზებზეც საუბრობენ, რომლებიც, ხელისუფლების მცდელობისა და ინიციატივების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის განვითარებას უშლის ხელს:

„ერთ ჰექტარზე მოსავლის ასაღებად კომპანიით მომსახურება 50—60 ლარი ღირს, ცალკე სანავი უნდა ჩაუსხა, შემდეგ მოსავალს ტრანსპორტირებაც ხომ სჭირდება, ერთ ჰექტარზე ყანის ალემა დაახლოებით 100 ლარამდე ჯდება“, — ამბობს ბაჩუკი გონაშვილი. ამავე ტენდენციაზე ამახვილებენ ყურადღებას სხვა ფერმერებიც. „იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება საკმაოდ ძვირია, ენერგომატარებლებზე ფასი კი — მაღალი, გვიჭირს როგორც ნაკვეთის დამუშავება, ისე მოსავლის ალემა, დღევანდელი მთავრობა უამრავ პროგრამას კი ამუშავებს, მაგრამ ვერც ეს პროგრამები და ვერც ხელისუფლების მიერ დარიგებული სანავი ამინდს ვერ ქმნის. წლითი — წლითი უფრო მეტი ადამიანი ამბობს მიწის დამუშავებაზე უარს“ — ეს წერილი ფერმერების ჩივილია. როგორც ისინი ამბობენ, მიწის დამუშავების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მათთვის ელექტრონული ზედდებულების შემოღებაც იქცა: „მანამდე მაღალი ზიებიდან სასუქების გამოტანას ნისიად ვახერხებდით, ახლა კი ეს გზაც მოგვეჭრა. ვიცით, რომ ცხოვრება წინ მიდის, მაგრამ ჩვენ საბაზრო ეკონომიკასთან ბრძოლით დავიღალეთ“ — აცხადებენ დედოფლისწყაროელი გლეხები.

წერილი ფერმერები მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგანან. ფერმერებს უჭირთ: აიღონ კრედიტი მისაღები საპროცენტო განაკვეთით; შეიძინონ მაღალი ხარისხის თესლი; შეისყიდონ ტექნიკა და მოწყობილობები, რომლის გამოყენება მცირე ფართობზე, როგორც

წესი, არარენტაბელურია; მიიღონ ინფორმაცია აგრარულ სფეროში თანამედროვე მიღწევების შესახებ; მოახდინონ საკუთარი პროდუქციის მარკეტინგი.

ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი გზა იქნებოდა ფერმერული კოოპერატივების შექმნა. თუმცა, კოოპერატივი იწვევს საბჭოთა კოლმეურნეობის ასოციაციას და მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საგადასახადო კოდექსი მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს ფიზიკურ პირებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობაში. გარდა 5 ჰექტარამდე მიწაზე არსებული ქონების გადასახადზე შეღავათისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან თუ ერთობლივი შემოსავალი წლიურად არ აღემატება 200 000 ლარს. სასოფლო სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირი მთლიანად არის გათავისუფლებული დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (გარდა რამდენიმე სახის პროდუქციის, მაგ კვერცხის წარმოებისას).

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობაში დაწესებული საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. შესაბამისად, ფერმერების მიერ კოოპერატივების ან ამხანაგობების დაფუძნება არამომგებიანია.

ამ პრობლემების ფონზე ქართული ხორბლის მოსავალი იკლებს, შესაბამისად იკლებს ადგილობრივ წარმოებაში ქართული ფქვილით დამზადებული პროდუქციაც.

ქართველი მოსახლეობის ინტერესის მთავარ საგანს კი წარმოადგენს პასუხი კითხვაზე — მოახერხებს თუ არა ადგილობრივი პროდუქცია სამამულო ბაზრის გაჯერებას ქართული ფქვილით?

ინგა შიოლაშვილი

**ლევან ბალაშვილი: წლის ბოლომდე სოფლების ქუჩების ნაპირასი და სახელდაბანს გააქტიურებთ მოქმედებით**

**გვ. 3**

**თოჯინების თეატრის აღდგენა იგეგმება**

**გვ. 5**

**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიქითხავთ!

[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)



# განახლებული ინფრასტრუქტურა არხილოსკალოს



სოფელ არხილოსკალოში მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების მქონე მინი სპორტული მოედნის მოწყობა. ამ მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 38 000 ლარი, უკვე დასრულებულია მოედნის მოასფალტება, მალე მოხდება მოედნის მოწყობა კალათბურთის ფარებით და ფრენბურთის ბადით. ცოტა ხანში, ეს ადგილი ახალგაზრდობის თავშეყრის და გართობის ყველაზე საყვარელ ადგილად იქცევა.

მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილია საბავშვო ბაღისთვის ეზოს და ოთახების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია, რაზეც ადგილობრივი

ბიუჯეტიდან 26 752 ლარი დაიხარჯება. სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. ყოფილი საკრებულოს განახლებულ შენობაში განთავსდება, ასევე, ბიბლიოთეკა და სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პუნქტი. ამავე შენობაშია სოფლის ამბულატორია, რომელიც გასულ წელს გაკეთდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მოინახულა მიმდინარე სამუშაოები, რომლებიც სულ მალე დასრულდება და სოფელს პოლიციის თანამედროვე შენობის გარდა კიდევ ერთი განახლებული და ლამაზი შენობა შეემატება.

## ლევან ბალაშვილი: წლის ბოლომდე სოფლების ქუჩების ნუმერაციას და სახელდებას მაქსიმალურად მოვიცავთ



მიმდინარე წლის ბოლომდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში ქუჩებს სახელები მიენიჭება და ნუმერაციის პროცესი დასრულდება. ამის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილმა განაცხადა.

დეპუტატებმა საკრებულოს 9 ივლისის სხდომაზე კენჭი უკვე უყარეს სოფელ ხორნაბუჯში, ქვემო ქედსა და სოფელ ზემო მაჩხანის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის დამტკიცების საკითხს. საკრებ-

ბულოს წევრებმა პროექტს მხარი დაუჭირეს.

„მოხარული ვარ, რომ სწორედ ჩვენი მუშაობის პერიოდში სოფლების უმრავლესობას და საბჭოური დასახელების ქუჩებს ქართული სახელწოდებები დაუბრუნდა. ეს პროცესი ისევ გაგრძელდება და ეტაპობრივად ყველა სოფელს მოვიცავთ. ვფიქრობ, რომ წლის ბოლომდე სოფლების ქუჩების ნუმერაციას და სახელდებას მაქსიმალურად მოვიცავთ. ამაში მაჟორიტარები და სოფლის მოსახლეობა აქტიურად

უნდა ჩაერთოს. კარგი იქნება, თუ სახელწოდებების შერჩევის დროს სოფლის გამომჩინებელთა და მათ ღვაწლს დავაფასებთ. მინდა მზადყოფნა დავაფიქსირო იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხის ირგვლივ ყველა მოქალაქის აზრი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.“ — აღნიშნა ლევან ბალაშვილმა.

სოფლებში ქუჩების ნუმერაციასა და სახელდებაზე საკრებულოში შექმნილი კომისია იმუშავებს.

## გარემოსდაცვითი პროექტები გრძელდება

USAID-ი კახეთის რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში ახალი პროგრამით შევიდა, რომელთა შორის დედოფლისწყაროცაა. უკანასკნელ წლებში, ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა გარემოსდაცვითი სექტორის დაფინანსება. 2003 წელთან შედარებით: გაძლიერდა კანონალსრულება, გაუმჯობესდა დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობა, აგრეთვე, ქვეყნის ძირითადი ქალაქების სასამელი წყლით მომარაგება და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებაც განთავსდა.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და პოლიტიკის სფეროებში განხორციელდა ან მიმდინარეობს რიგი საკანონმდებლო ინიციატივებისა და მუშავდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საკანონმდებლო დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით, ქვეყანაში ძალიან ბევრი გარემოსდაცვითი პრობლემაა, რომელიც საჭიროებს

გადაწყვეტას უახლოეს ან გრძელვადიან პერსპექტივაში.

ასე, მაგალითად, კვლავ მწვავედ დგას ზედაპირული და სასმელი წყლის ხარისხის, სოფლებსა და დაბებში სასმელი წყლის მიწოდების, ნიადაგის დეგრადაციის, ბიომრავალფეროვნების შემცირების, ნარჩენების უკონტროლო ყრის და სხვა საკითხები. სწორედ ამ მიმართულებით აპირებს მუშაობას ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ამ ორგანიზაციის პარტნიორები არიან ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი (FIU), იუნესკოს ჰიდროლოგიური განათლების ინსტიტუტი (UNESCO-IHE), ქეა ინტერნეიშენალი (CARE international), ვინროკ ინტერნეიშენალი (WI), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (CENN). პროგრამის მიზანია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის

გაუმჯობესება ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლის, მიწის, მცენარეული საფარისა და ეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისა და მართვის გზით. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია სხვადასხვა ღონისძიებები. სწორედ ამ ღონისძიებების გაცნობა მოხდა, ზემოთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 4-5-6 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სემინარებზე.

4 ივლისს პროგრამის წარმომადგენლები (დირექტორი მარიამ შოთაძე) ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პრობლემათა პრიორიტეტიზაციის მიზნით, შეხვდნენ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს და

სოფლის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს, 5 ივლისს — ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ბიზნეს სექტორს, ხოლო 6 ივლისს — დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელისუფლებას. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრა მუ-

ნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ შანშიაშვილის კაბინეტში გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და გამგეობის თანამშრომლები. შეხვედრას უძღვებოდა პროგრამის თვითმმართველობის ოფიცერი ნანა ქვრივიშვილი.



# და ეს მზე ჩემი სამოსასლოა წიგნის პრეზენტაცია

თბილისში, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩვენი თანამოქალაქის პოეტ ირმა შიოლაშვილის გერმანიაში გამოცემული პოეტური კრებული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. "ფოთლების ხიდი"- ასე უღერს ქართულად წიგნის სახელწოდება.

პრეზენტაციაზე ირმას ქართველი მეგობრები, მკითხველები, პოეტები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები მოვიდნენ. გერმანული მხარის წარმომადგენლებსაც ელოდებოდნენ, თუმცა მათ რაღაცამ ხელი შეუშალა, რამაც ქალბატონ ირმას ათქმევინა, - მართალია გერმანელები ვერ მოვიდნენ, მაგრამ თქვენ ხომ მოხვედით, ჩემი საქართველო არ მილატებო. მაშინვე, ამ მოსწრებულად ნათქვამის შემდეგ შეხვედრამ დაკარგა "ოფიციალური" სტილი და ჩვენებური, ქართული სიტოთი გავერდა. ირმა ყველას მოეფერა, ძალიან სადად, უბრალოდ, - ეს პრეზენტაცია საბაბია, რომ ყველა ერთად შეგვიერთო.. ბევრი ლექსიც წაიკითხა, ძალიან ინტელექტუალური და თან პოეტური სახეებით დატვირთული ლექსები.

ბატონმა გივი ალხაზიშვილმა გაიხსენა ფაქტი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გახდა ცნობილი: ზღვისპირა ქალაქში მცხოვრები კაცი ბოთლებში დებს წერილებს თავისი მისამართით და ღია ზღვაში უშვებს. წლების მერე ზღვა გარდაცვლილ მათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, საიდანაც მან უკვე მიიღო რამდენიმე ათასი პასუხი. ესაა ადამიანური კომუნიკაციის ნყურელი, - აღნიშნა ბატონმა გივიმ. დღევანდელი შეხვედრა სწორედ ამ ნყურელის დადასტურებაა. დრო წარმავალია და არაფერია მუდმივი. ირმას პოეზია რეალურსა და არარეალურს შორის მოძრაობს, ამ ორი სამყაროს ზღვარზეა. ის დინამიურია. პოეზიას შეუძლია შეინახოს ეს დინამიურობა

მერე ისევ ირმამ წაიკითხა საკუთარი ლექსი, - პოეტებს, მიუხედავად მათი მეტყველი თვლებიდან, სმირად ქუჩაში ვერ ამჩნევენ, და ტრანსპორტში შეიძლება მუჯღუგუნაც გაჰკრანო... მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსის წაკითხვაც სთხოვეს. შეიღის, ლუკასადმი მიძღვნილი თავად წაიკითხა.

ევროპაში ცხოვრებამ ქალბატონ ირმას პოეტური თვალსაზრისი გაუფართოვა, თუმცა თავიდანვე უნიჭიერესი იყო, - აღნიშნა ნიჭიერმა პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჯანიძემ.

შეიძლება ასეცა, ევროპამ მის ნიჭზე დადებითად იმოქმედა, მაგრამ ირმა რომ „თოვლიან ქალაქში“- გერმანულ ქალაქში ცხოვრებას, ნოსტალგიას ებრძვის, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, - ცხადია. ებრძვის შვილებისთვის, ოჯახისთვის, საქართველოსთვის. ამაზე მისი ლექსები გვიამბობენ.

შემდეგ ირმამ სიტყვა მიხმო მოსულიშვილს გადასცა, თან დაამატა, რომ თავის დროზე სწორედ მიხომ უჩვენა მას, სამშობლოსაგან შორს მყოფს, ლიტერატურული თუ სულიერი კომუნიკაციის გზა — ქართული ლიტერატურული საიტები.

- ევროპაში მცხოვრები ქართველებისათვის დიდი ბედნიერებაა, რომ არსებობს ლიტერატურული საიტი, რომლის საშუალებითაც მყარდება დიდი ქართული კომუნიკაცია, აღნიშნა მისმა რედაქტორმა მიხომ მოსულიშვილმა. - საიდან, რომელი ქვეყნიდან არ ეხმობებიან და უზიარებენ მთელ მსოფლიოში გაბნეული ქართველები ერთმანეთს უახლეს ლექსებს თუ პროზას, ანდა უბრალოდ ურთიერთობენ. ამასწინათ ერთ მათგანი ისლანდიიდანაც კი შემოგვეხმობა. ძალიან მიხარია ირმას წარმატება, - ეს გერმანიაში გამოცემული წიგნი ქართულ თანამედროვე პოეზიას ღირსეულად წარმოაჩენს ევროპელი საზოგადოების წინაშე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოცემა ძალზე სოლიდური "კავკასიური ბიბლიოთეკის" სერიით გამოდის, რომელსაც მილიონობით გერმანულენოვანი მკითხველი ჰყავს.

შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დამთავრდა და მერე დაიწყო ის, რასაც ქართული მონატრება ჰქვია, მოკითხვა, კოცნა და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა.

### მიხეილ გლუბინი

წარათი საქართველოს მე შენ ვეკუთვნი და არ ვიცი, როგორ აღმოჩნდი ამ უსასღვრო და მარტოობით შეღებულ ცის ქვეშ, სადაც ბედურებს წელიწადის ვოკალ დროს სცივავთ, სადაც სწავლობენ, რომ წარსულზე მარადი დარდი სისუსტის დიდი ნიშანია და... არ დარდობენ. მე კი ვდგავარ და ბედნიერებას ვთამაშობ უცხო კედლების დუმილში შეუქუული და ამ ვოკალის ამოზრდილი ვკლები მარტოობას; შენი სურნელი შერჩენია სამშვიდობო სარჩოდ და საოცარი, მაღლიანი სიტყვების სარჩევს ვაღაგებ გულში, საგანგებოდ, სმაურით გდარდობ

ასე ძალიან ავადმოვს და მაინც მშვენიერს. და ვამჩნევ, როგორ უკვირთ კედლებს, როგორ ირეკლავს

გერმანული ბიურგერტუმის ცივი მშვენიერება— ჭრული, ნატოფი ჰორცელანდი ოქროს ხაზებით— ჩემს ემოციის მდინარეებს, უსიტყვოდ სუსთქავს მეგლისძველ ბეგრებს—კავკასიის ჩამონათალებს—

ქართულ სატკივარს რას გაუკებს დედისაცვალი...

მე კი შენს მკერდზე დაძინებულა ვეფლა მარცვლი. შენი შვილი ვარ და არ ვიცი, როგორ მოგბანო ეგ სისხლიანი ჭრილობები, რა დაგაფინო

დადღლილ თვალებზე, დაუქვილ და ნაწამებ მხრებზე, სიტყვებს და სიტყვებს, კიდევ სიტყვებს შენთვის ვაჩუქებ და მტკიავ გული,

შენ რომ გკავს და... შენ რომ მახუქე. 2008წ.

\* \* \*  
რარაცნაირად გუფრული ვაგნდი...  
ერთადერთი, რასაც ვამჩნევ  
კედლებზე უშინოდ ატეხული  
ოთხი ჩარჩოა

და ფერები—შეუქუელი ჩარჩოს კუთხეში...  
მხატვრებსა საუფარელი ქალაქის მტკვრი,  
მაგი მტკვრი—მოუვლელი, სადა ქუჩების.

ვრეკავ უცხოელ მეგობართან,  
რომლის მარცვლებშიც  
დავდინებ უცნაურად ნარევი სისხლი.

რომელიც კოსმოლოგიკა  
და ერთხანად ენატრება  
ბონის და ჩიკაგოც...

და ვუკვები, რომ  
ქალაქი, რომელიც მენატრება,  
ძალიან ძველია და ძალიან სასიყვრო,  
მაგრამ უცნაურად დაავადდა და  
ადამიანებს ვუღარ შატრობობს.

1999წ.

ორშაბათი  
დატეხილია ჩემი თითები  
და მწერა ისე სევდიანი,  
რომ სიზმრებსაც ვადაბრუნებს.  
ჩემში მთავრდება ორშაბათის  
მშვიდი საღამო

და თითებიდან სისხლთან ერთად  
საღამო წყუთავს...  
ხოლო ის კაცი,

ვინც ჩემს მწერას ძაფი გამოსდო  
და გულზე ძაფის გორგალივით  
გადაიხვია,

ღვას ორშაბათის ჩამოთავლილ  
გ საგანსაურზე...  
ჩემი ცხოვრება ორშაბათის შეჯამებაა

და აღარ ვიცი, რას მივუწოდო,—  
ამ კაცის დიმილს,  
რომელმაც ჩემი სევდა  
გულზე გადაიხვია

თუ  
ბრძნულ ნათქვამს, რომ  
ორშაბათით იქვება კვირა  
და სვალე ვეფლა ორშაბათებს  
ჩამოიტოვებს.

\* \* \*  
დღეა გიმღერის. სველი ბავიდან  
ევაფლების წვიმა იღვრება.  
დღეს უფერს, რომ ჰატრია სველებს  
თითქმის არასდროს არ ავიწყდება  
ველზე მოხვევა და თბილი სუსთქავი  
გულზე მარადი იმედის ქარავა...

დღეა გიმღერის. ზამთრის ამინდის  
თახლათან თავის სიმკაცრეს კარავს.

\* \* \*  
ეს უცნაური ზრუნვა შემჩნა—  
შენ შევავროვო,  
შენი სიცილით ამოვიღე  
მარტოობის თეთრი სვედიდან  
და ვთქვა, რომ მორჩა,

ამ წუთიდან ცხოვრებას ვიწყებ.  
გახვებამ შენი სიუვარლის  
ცრემლებით მომრწყო  
და ვტკეპნი შენი ცრემლით სავსე,  
სორკლიან მიწას.

ვოკვლდე ვიწყებ  
და თითებში ლექსები მითრთის.

და ეს მზე ჩემი სამოსასლოა  
მე ვგვდავ დუმილს და მუშინია...  
და მარტოობაც ისე ახლოა...

ეს მთავარე ჩემი კვანთა, ფიქრია  
და ეს მზე ჩემი სამოსასლოა...

შისდა და ფიქრებს რაღას შევჩვილებ  
თუ მარტოობის ტანჯვით ვივსება  
და მჩნება მსოფლიო უცხო სვედა და  
მხოლოდ ლექსები, მხოლოდ ფიქრები.



# „თეთრი ბაირაღი“ – სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო

9 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის მოწვევით, დედოფლისწყაროს კულტურის სახლს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა დასი ეწვია, რომელთაც ნოდარ დუმბაძის უკვდავი ნაწარმოების „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა“ წარუდგინეს დედოფლისწყაროელ მაყურებელს.

თელავის თეატრის სამსახიობო დასი, მიუხედავად მისი პროფესიონალიზმისა, დიდი გამოწვევის წინაშე იდგა: სპექტაკლს „თეთრი ბაირაღები“-ს სატელევიზიო დადგმა ქართველ მაყურებლებს საკმაოდ ცნობილი მსახიობების მონაწილეობით აქვთ ნაწახი, ამიტომ მათთვის კონკურენციის განევა და მაყურებელზე შთაბეჭდილების მოხდენა ერთობ სარისკოდაც კი შეიძლებოდა ჩათვლილიყო. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თელავის თეატრის რისკმა გაამართლა და სპექტაკლმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლმა დედოფლისწყაროელები კიდევ ერთხელ დააფიქრა იმ ჩაკეტილი სისტემის ყოფაზე, საბჭოთა დროის ციხე რომ ჰქვია სახელად. მაშინდელ მენტალიტეტზე და განსაკუთრებით უდანაშაულო, გამოუცდელი ადამიანის განცხადებზე მოუთხორო მაყურებელს ნოდარ დუმბაძისეული იუმორის თანხლებით. ბოლოს კი სულისშემძვრელი დასასრული, სამართლიანობის განცდას სახევეროდ მაინც რომ უბრუნებს მაყურებელს: „მე ვაგჟაღე

ბაირაღი, მალღო ალღმართე და ავღეფე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირაღი ფრიალღებდა, როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო.

ერთი ვებერთელა და უსპეციალღი ბაირაღი ფრიალღებდა ქვეყნიერების თავზე“-ამბობს მთავარი გმირი ნაკაშიძე.

სპექტაკლში ხომ მართლაც ყოველ დროში ფერგაუსვღელი, მარადიული ღირებულებებია წინ წამონეული, რომლებიც ერთ საკანში მოხვედრილი, სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესისა და ბედის ადამიანებისთვისაც კი ძალზე მნიშვნელოვანია. თეთრი ბაირაღის არსს კი ძია ისიდორე-ერთ-ერთი პერსონაჟი ხსნის, რომელიც საკუთარი შეცდომის აღიარების ნიშნად ამ თეთრ ბაირაღს ნითლად ლებავს-საკუთარი სისხლით, ოღონდ ამჯერად უფრო დიდ და გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს და ცოდაში ვარდება. მწერალი სიმბოლოებით საუბრობს და თეთრი ბაირაღის განითლებით საბჭოთა წყობის ანტირელიგიურ განწყობასაც უსვამს ხაზს. წარმოდგენამ სრული ანშლავით ჩაიარა, მაყურებელი ფეხზე წამოუდგა ნიჭიერ მსახიობებს და დიდხანს უკრავდა ტაშს. მსახიობმა ვანო იანტბელიძემ მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროელებს თბილი დახვედრისთვის და მათი შემოქმედების დაფასებისთვის.


სპექტაკლს ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი, გამგეობის კულტურის, სპორტის ძეგლთა დაცვის და

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი და სხვა თანამდებობის პირები.

სპექტაკლზე დასწრება უფასო იყო, ამაზე კულტურისა და სპორტის ცენტრმა იზრუნა. როგორც სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა გიორგი ჩაკვეტაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, თეატრმა კახეთის სხვადასხვა რაიონში ტურნე ახალი მმართველის მოსვლის შემდეგ დაიწყო. მისი თქმით, თელავის თეატრი კახეთის სხვადასხვა რაიონებში წარმოდგენებს ხშირად გამართავს.

„საგარეჯოდან დავიწყეთ, უკვე ვიყავით ლაგოდეხსა და სიღნაღშიც და ამჯერად დედოფლისწყაროს ვენვიეთ. უკვე მეოთხე წარმოდგენა გავმართეთ. მანამდე ორი წლის მანძილზე დუტა სხირტლადის მმართველობის პერიოდში ჩვენი თეატრი გაყინული იყო, ვერაფერს ვაკეთებდით, ახლა კი ახალი მმართველის, პაატა გულიაშვილის მონადინებით, გადაწყდა, რომ რაიონებში გავიდეთ და წარმოდგენები გავმართოთ ხოლმე. კახეთის გუბერნია გვერდში გვიდგა და სწორედ მათი დაფინანსებით ჩამოვედით, ყველა ხარჯი გუბერნატორის ადმინისტრაციამ დაფარა. ვცდილობთ, რომ კახეთში კულტურული ცხოვრება ისევ გამოცოცხლდეს. ერთი შემთხვევა პირდაპირ გითხრათ, რომ წელიწადში 2-3 ჯერ რაიონებში ჩამოსვლას მოვახერხებთ,“ — აცხადებს რეჟისორი გიორგი ჩაკვეტაძე.

ინგა შიოლაშვილი  
ილია მარტყოფლიშვილი



## თოჯინების თეატრის აღდგენა იგეგმება

**შემოდგომისთვის, შესაძლოა, დედოფლისწყაროს კულტურის სახლმა ახალი სეზონი თოჯინების თეატრთან ერთად გახსნას. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა აცნობა. რამდენად რეალურია თეატრის ფუნქციონირების აღდგენა, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა კულტურის სახლის დირექტორი დარწმუნებულია, რომ ეს მალე მოხერხდება.**

მისი თქმით, კულტურის სახლს ყველა რესურსი აქვს იმისათვის, რომ თოჯინების თეატრმა მუშაობა აღადგინოს. მარტიაშვილის განმარტებით, უნიკალურ ბაზას ფლობენ, რაც იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ თოჯინების თეატრი, აღდგენის შემთხვევაში, სრული დატვირთვის მუშაობას უპრობლემოდ შეძლებს.

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დედოფლისწყაროში სახალხო თეატრი 1939 წლიდან ფუნქციონირებდა და სხვათაშორის ძალიან აქტიურად მუშაობდა, უნდა ითქვას, რომ დედოფლისწყაროელები წარმოდგენებზე დასწრებას მიჩვეულები იყვნენ. სხვათაშორის, წელიწადში მინიმუმ სამი სპექტაკლი იდგებო-

და. 1986 წლის შემდეგ სახალხო თეატრმა ფუნქციონირება შეწყვიტა... მას შემდეგ დედოფლისწყაროელ მაყურებელს შეიძლება ითქვას ერთგვარი დევიციტი აქვს. დამეთანხმებით, რომ ბოლო წლებში ჩვენს სცენაზე იშვიათად იმართება წარმოდგენები. ორი წლის წინ რუსთაველის თეატრი იყო ჩამოსული და მას შემდეგ დედოფლისწყაროში სპექტაკლი აღარ გამართულა. ამჯერად, რამდენიმე დღის წინ თელავის სახელმწიფო თეატრმა დედოფლისწყაროში რომ გამართა წარმოდგენა, საოცრად მობილიზებულნი დარბაზი იყო და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი.

სადღეისოდ, ჩვენს რაიონში დიდი თეატრის არსებობა ალბათ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ვფიქრობ, რომ დედოფლისწყაროში თეატრს თავის შენახვა გაუჭირდება და ამ ეტაპზე ნაკლებად პერსპექტიული მგონია. უფრო რეალურია თოჯინების თეატრის აღდგენა. აუცი-

ლებლად მიმაჩნია, დედოფლისწყაროში თოჯინების თეატრმა მუშაობა განაახლოს, რადგან ჩვენ მართლაც ყველა რესურსი გვაქვს. უნიკალური თოჯინები დღემდე გვაქვს, სამი სპექტაკლის პერსონაჟები სრულად გვაქვს შემონახული და წარმატებითაც ფუნქციონირებდა. შემდგომ რა-

ტომლაც შეფერხდა. ყოველ წელს ვცდილობთ, თოჯინების თეატრი ისევ აღდგეს, მაგრამ რატომღაც დღემდე ვერ მოხერხდა. ამჯერად მზაობა არის, მუსიკალური გაფორმების შანსიც არის, თოჯინების გასახმოვანებლად საჭირო სამი ადამიანიც არსებობს. ამდენად, თუ რამე გარემოება ხელს არ შეგვიშლის, სურვილი გვაქვს, რომ სექტემბერ-ოქტომბერში ახალი სეზონი თოჯინების თეატრით გავხსნათ. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მოხერხდება და დედოფლისწყაროს თოჯინების თეატრი ისევ ექნება,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ცარო მარტიაშვილმა.

კულტურის სახლში აცხადებენ, რომ საჭირო თოჯინები საუკეთესო მდგომარეობაშია და თოჯინების თეატრის აღდგენა დედოფლისწყაროში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას ხელს ბევრად შეუწყობს.

თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა

მიიჩნევს, რომ ამ მხრივ დედოფლისწყაროში არსებული ვითარება გამოცოცხლებას უდაოდ საჭიროებს. ახალგაზრდობის ძირითადი საწარმოც სწორედ ის არის, რომ დედოფლისწყაროში გასართობი ღონისძიებები, განსაკუთრებით კი შოუბიზნესის ცნობილი წარმომადგენლების ვიზიტების სიმცირე თვალშისაცემია.

„ახალგაზრდები დედაქალაქისკენ სწორედ იმიტომ მიიწვიან, რომ ქალაქში კულტურული ცხოვრება უფრო ჩქვეს, კონცერტები ხშირად იმართება. აქ კი ცნობილი მომღერლები ორ წელიწადში ერთხელ თუ ჩამოდიან. სოფლად ხალხს მოენატრა სულიერი საზრდო, განსაკუთრებით ახალგაზრდებს უნდათ ცნობილი მომღერლების კონცერტზე დასწრება და რადგან ადგილზე გართობის და დასვენების საშუალებები ნაკლებია, ამიტომაც თბილისში მიდიან და უკან დაბრუნებაზე აღარ ფიქრობენ. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ადგილზე ამოქმედდება თოჯინების თეატრი,“ — აცხადებენ დედოფლისწყაროელები.

ილია მარტყოფლიშვილი



# უსახლკარო შარ,



# ეს არის ჩემი გასაჭირი

დაბალი სოციალური ფონი დღევანდელი ცხოვრების ყველაზე დიდი პრობლემა რომ არის, ამას არაპირ უარყოფს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანთა რიცხვი თანდათან იზრდება, იზრდება უსახლკაროთა რიცხვიც. ასეთი ადამიანები დახმარებისათვის ხშირად მოდიან რედაქციაში, გულს გვიშლიან, რჩევას გვიპირთხევიან.

ექვსი შვილის დედაა, ძალიან მორიდებული და წესიერი ადამიანია, იქნებ გაეცაუბროთ და მის გაჭირვებას რაიმე გზა მოუხაზოთ - მთხოვა ჩვენი გაზეთის ერთმა აქტიურმა მკითხველმა და... ჩემს წინ ცხოვრების მრავალ ჭირვარამგამოვლილი ახალგაზრდა (44 წლის) ქალი ზის, რომელსაც შრომის და უძილო ღამეების დაღი აშკარად ამჩნევია.

ლალი ნიკლაური ზემო ქედში დაიბადა. 18 წლისა არხილოსკალოელ ზურაბ, იგივე გია ქოზაშვილს გაჰყვა ცოლად. თან დედის დარიგება გაიყოლა: ოჯახი თუ გინდა გქონდეს, ყველაფერი უნდა მოითმინო. ისიც ითმენდა ქმრის უხასიათობას, დედამთილის და ქმრის მამიდის ზედამხედველობას და მბრძანებლობას. დრო კი მიდიოდა, პირველ ვაჟს მეორე მოჰყვა, მერე ორი გოგო შეეძინა, გოგონებს ისევ ვაჟები მოჰყვა და ასე გახდა ექვსი შვილის დედა. ცხოვრება კი თანდათან გაუსადილსი ხდებოდა. პირვე-

ლი ვაჟები წამოიზარდნენ და მამის უსაქციელობას, დედის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებას და შეურაცხყოფას ვეღარ ეგუებოდნენ, ხშირად ეკამათებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მამას. დედას კი გული უსკდებოდა, ბიჭები ისეთ ასაკში არიან, მოზომვა უჭირთ, რამე ისეთი არ ჩაიდიონ, საციხედ რომ გაუხდეთ საქმეო. ქმარი კი სმას და ოჯახის ანიოკებას არ იშლიდა. ერთ დღესაც ექვს შვილთან ერთად ლალი ოჯახიდან წამოვიდა, წამოვიდა ბედის ანაბარა..

კეთილმა ნაცობებმა შეიფარეს დედოფლისწურობში, მოხუცები იყვნენ, თავისი შვილები დაბინავებული ჰყავდათ, შეეცოდათ ქალი და სახლის კარი გაუღეს. ყურადღებას და ზრუნვას არ აკლებდა ლალი მოხუცებს, მაგრამ ასაკი ასაკია და მათ ამქვეყნიური ცხოვრება დატოვეს. ამასობაში ლალის ცხოვრებაც შეიცვალა; უფროსმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა, დღეს სამი შვილის მამაა და შილდაში, ცოლეურების სიახლოვეს ცხოვრობს. ის აგვისტოს ომის მონაწილეა, დაჭრილი დაბრუნდა და მკურნალობის ხარჯების გასტუმრებაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაუდგა მხარში, რისთვისაც ძალიან მაღლიერია. გამოჯანმრთელების შემდეგ 6 წელი კვლავ სამხედრო სამსახურში იყო კონტრაქტორად, მაგრამ დღეს უმუშევარია და ძალიან უჭირს ცხოვრება.

ქალიშვილებიც დათხოვდნენ. ერთი თელავის

რაიონის სოფელ კისისხევში ცხოვრობს, მეორე-ზემო ქედში. დალხინებული და იოლი ცხოვრება არც მათ აქვთ, თავისთავს ინახავენ, მაგრამ, სურვილის მიუხედავად, დედის და ძმების დახმარების საშუალება არც მათ აქვთ.

ლალი ნიკლაურმა 2007 წელს ორწლიანხვედრის ნუკრი სხვა დედამამიშვილებთან ერთად ბავშვის ეტლით ამოიყვანა არხილოსკალოდან და სამსახურის ძებნა დაიწყო. მაშინდელი საკრებულოს თავჯდომარის ზურა (გივი) ბურჯუაძის დახმარებით „სერვისი-2007“-ში დაიწყო მუშაობა მეფოვედ. მთელი რაიონი ხედავდა, სამუშაოს შესრულებისას საბავშვო ეტლით როგორ მიიყოლებდა მშვენიერ ყმაწვილს დედა.

საბავშვო ბაღში ვერ მივიყვანე, უარი მითხრეს, ადგილი არ გვაქვსო. მერე ერთ დილით, ქუჩას რომ ვგვიდი, მანქანა გაჩერდა და იქიდან შაოსანი ქალი და კაცი გადმოვიდნენ. ჩემი ამბავი გამომკითხეს და შემპირდნენ, ხვალვე მივალე ბიჭს საბავშვო ბაღში. მართლაც ასე მოხდა. ეს ხალხი ან-ზორ და ეულიეტა სეფიაშვილები იყვნენ. ჩვენი უფროსი გარდაცვლილი შვილის-ნიკას სახელზე გაიზარდოსო, თქვეს და სამი თვის ბალის გადასახადიც წინასწარ გადაიხადეს. მერე, როგორც მრავალშვილიანი დედა და უმწეოთა პოლისის მქონე, ბალის გადასახადისაგან გამანთავისუფლეს. ჩვენი ურთიერთობა კი ნათელმირონით განმტკიცდა და

ერთხელ დედის კალთას ამოფარებული პატარა ნუკრისთვის ლევან ბალაშვილს (მაშინ გამგებელი იყო) საკუთარი ჯიბიდან ფული უჩუქებია, კანფეტები იყიდებო. ეს სულ მუდამ გვემახსოვრებაო, ამბობენ მადლერი დედაშვილი. არც დავით ჯიბლაშვილის მიერ ნაჩუქარი ელექტრო და სოფლის მეურნეობის ტალონები ავიწყდებათ, სოციალური სამსახურიც სამართლიანად გულისხმიერია მათ მიმართ. თავმდაბალი, ალალი, მშრომელი და პატიოსანი ქალი ყველას სიმპათიას იმსახურებს. სამსახურშიც თანაუგძნობენ უფროსიც და თანამშრომლებიც. არც თავად ზის გულხელდაკრეფილი, სამსახურის ერთგულია, შრომობს დღე და ღამ, ვის წყალი უნდა, ვის პური, ყველა მოხუცის შემწეა, არ დაიჯერებთ და... ხარაზობს კიდევ - ფეხსაცემლის შეკეთება შუძლია და მადლიერი კლიენტებიც უპატივიცემოდ არ ტოვებენ. ერთი „საოცრებაც“ სჭირს, ისეთი, მისი მდგომარეობის პატრონს თავადაც რომ უკვირს - ამ გასაჭირში ხანდახან მუზა შეუჩნდება (როგორც უმრავლესობა მთის შვილს) და მოსვენებას არ აძლევს. ხან სამშობლოს მთა-ველში დააქროლებს, ხან სამაჩაბლოში შვილის დაღვრილი სისხლი უფორიაქებს სულს და ქართული ტერიტორიების დაკარგვით გამოწვეული სევდა არ ასვენებს, ხან ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური თავსატეხების ამოხსნას

ცდილობს, თუმცა, სჯერა, რომ ყველაფრის სათავე და დასასრული უფალია, რომლის დიდებასაც ხშირად აღავლენს. ერთ ეპიზოდსაც იხსენებს თავისი „პოეტური“ წარსულიდან: - ვახუშტი კოტეტიშვილი იყო ჩამოსული არხილოსკალოში. მაშინ ორი შვილის დედა ვიყავ. სოფლის ხელმძღვანელობამ შემომითვალა, შენი ლექსების რვეული წამოიღე და კულტურის სახლში მოდიო. ეს რომ ჩემმა ქმარმა გაიგო, განრისხდა, არც გამიშვა და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფაც არ დამაკლო. ჩემი მთის სისხლი კი თავისას არ იშლის და დროდადრო თავს მახსენებსო.

დღე დღეს მიჰყვება, ფიქრსა და შრომაში იღვევა დრო, მაგრამ ერთი დიდი საფიქრალსანუხარი არ ასვენებს ლალი ნიკლაურს: ხვალ-ზეგ სახლის მეპატრონეები ბინას გაჰყიდნიან და მრავალშვილიანი დედა ცის ქვეს დარჩება სამი დაუბინავებული შვილით და აღარც შვილიშვილებს ექნებათ ბებოს სახლის მისამართი. ეს დღე კი სულ ახლოსაა, ამიტომ წუხს ლალი, საფიქრალს მისცემია და ხსნა და იმედი ისევ რაიონის ხელმძღვანელობაში ეგულება. იქნებ მრავალშვილიანი დედას, ნაომარი ვაჟის პატრონს სადმე პატარა თავშესაფარი გამოუნახონ, დიდზე არფერზე აქვს პრეტენზია, მთავარი, ცის ქვეს არ დარჩეს. იმაზეც მაღლობელია, ამ ხალხმა ამდენ ხანს რომ შეიფარა. ღმერთს კი სულ იმას ევედრება, მხნეობა და მუხლში ძალა მომეცი, რომ ცხოვრების გასაჭირს გავუძლო და მრავალრიცხოვან შვილებს და შვილიშვილებს ვემსახუროო.

კეთილ ადამიანებს რა დალევს ქვეყანაზეო და ლალიც ამ იმედით ცოცხლობს.

ნაირა გორაშვილი



# ულოცავნი!

## თორნიკა აფსიაურს!

თორნიკე, ჩემო საყვარელო ბიჭო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალჯერ ცამეტი წელი შეგსრულდება. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს ცხოვრებაში.

შენი წელი ბები.

# სკორტი

## შავი ზღვის თასს დედოფლისწყაროს „ჩემპიონი“ დაეუფლა

29-30 ივნისს და 1 ივლისს ქალაქ ბათუმში აჭარის კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციის თაოსნობით ყოველწლიური ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კიკ ბოქსინგში „შავი ზღვის თასი“ ჩატარდა.

შეჯიბრი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მიმდინარეობდა და მასში საქართველოს, აზერბაიჯანის, ირანისა და სომხეთის 200-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კიკბოქსინგის გუნდმა „ჩემპიონმა“ თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით გულშემატკივარს ამჯერადაც არ გაუმტყუნა იმდები და აღნიშნულ ტურნირში წარმატებით იასპარეზა. მათ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი

დაიკავეს და დამსახურებულად დაეუფლნენ „შავი ზღვის თასს“. გუნდი უკან 7ოქროს, 6 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

ჩემპიონები გახდნენ: თორნიკე ლეკაშვილი, ზურაბ ჯეთერიშვილი, ვალერი ვაჭარიძე, ვანო ნათელაძე, დავით ქადაგიძე, ხვიჩა ქოქუაშვილი.

მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ: ვალერი კვინინაშვილი, არტურ ტოროსიანი, თამუნა ჩიბუხაშვილი, გოჩა ხილაძე, ალიკა ბექაური, დავით ჯინაშვილი.

მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ: გიორგი გომერშიძე და გიორგი ხუციშვილი.

გუნდი „ჩემპიონი“ მაღლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრს მხარდაჭერისთვის.

# ანსამბლი „შირაქი“ ფესტივალზე

დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლი „შირაქი“ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად აჭარაში იმყოფება, სადაც სხვადასხვა კონცერტებზე სხვადასხვა საკონცერტო ნომრებს წარმოადგენენ. ამის შესახებ ანსამბლ „შირაქიდან“ გვაცნობეს.

პროფესორ ლაუზი (რეზო) ჭანიშვილის ხელმძღვანელობით, ფესტივალში „გავიცნოთ ერთმანეთის შემოქმედება“, უკვე მერამდენედ იმართება და მასში ყველა რეგიონი მონაწილეობს. დახურვის მასშტაბური ცერემონია 9 ივლისს ურეკში გაიმართა.

„ჩვენი მოცეკვავეები ურეკში ათი დღით არიან წასულე-

ბი, სასტუმროში ცხოვრობენ და პარალელურად ინტენსიურად ვარჯიშობენ, დღეს ქობულეთში იცეკვებს. მთელი საქართველოდან უამრავი კოლექტივა

და მოცეკვავეები ენერჯის არ იშურებენ,“ — განუცხადა „შირაქს“ ანსამბლის მენეჯერმა ლალი იაკობიშვილმა.

დედოფლისწყაროელი მოცეკვავეები შავიზღვისპირეთში 15 ივლისამდე დარჩებიან და ვარჯიშსა და დასვენებას გააგრძელებენ. ანსამბლის ხელმძღვანელის, ალექსი გაბრიელაშვილის განმარტებით, ფესტივალის დასრულების შემდეგ დარჩენილ დროს ისინი ილეთების დახვეწასა და ახალი მოძრაობების შესაქმნელად ნაყოფიერად გამოიყენებენ. გაბრიელაშვილი ფესტივალს მნიშვნელოვანს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ორგანიზატორებთან მრავალწლიანი მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.



შავიზღვისპირეთში ჩასული ფოთის, თბილისის, რუსთავის, ლაგოდეხის, ყვარლის, და ა.შ... ეს სრული სია არ არის. ანსამბლს კვლავ დიდი გეგმები აქვს

ილია მარტყოფლიშვილი

# დაეხმარე სამლოცველო სახლის რესტავრაციას

დედოფლისწყაროელებმა ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სამლოცველო სახლის რესტავრაციისთვის საჭირო თანხების მოგროვებისთვის საინფორმაციო კამპანია წამოიწყეს. გახსნილია სპეციალური საბანკო ანგარიში, სადაც მსურველებს ნებისმიერი ოდენობით შემოწირულობის გაკეთება შეუძლიათ.

ინფორმაცია და საბანკო რეკვიზიტები უკვე აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. კამპანიის საინფორმაციო მხარდაჭერას გასწევნენ დედოფლისწყაროში მოქმედი მედიასაშუალებები, გაზეთი „შირაქი“ და „ქიზიყი.გე“

საინიციატივო ჯგუფის წევრების განმარტებით, ქალაქ დედოფლისწყაროში 9 აპრილის ქუჩაზე ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლის სრული რეკონსტრუქცია და მშენებლობა უახლოეს მომავალში იწყება.

„ვიდრე დედოფლისწყაროს ცენტრში ახალი ტაძრის აგება მოხერხდებოდა და მშენებლობას დავასრულებდით, დედოფლისწყაროელები სალოცავად მხოლოდ ამ სამლოცველო სახლში იკრიბებოდნენ. ბევრი მათგანი ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობს, ნაწილს საკმაოდ კარგი შემოსავლები აქვს. ეს სამლოცველო სახლი კი დღეს ჩვენს თანადგომას საჭიროებს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს კამპანია წამოვიწყოთ. ვფიქრობთ, რომ მის ბედზე ბევრ ადამიანს შესტკივა გული და შეძლებისდაგვარად ბევრი გაიღებს შემოწირულობას. ჩვენი მთავარი მიზანია, ინფორმაცია მაქსიმალურად გავრცელდეს და ჩვენს თითოეულ ემიგრანტამდე მივიღწიოთ, ამაში კი პრესის დახმარება მნიშვნელოვანია,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კამპანიის ერთ-ერთმა ინიციატორმა ვაჟა პაპუაშვილმა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ ამ დიდ საღვთო საქმეში.

ბანკის რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ დედოფლისწყაროს ფილიალი 220101453

ბანკის კოდი /SWIFT code :LBRTGE22

ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლი 228534565

GEL-GE48LB0122153831112000

USD-GE21LB0122153831112001

EUR-GE91LB0122153831112002

გვარავდეთ უფალი!



# ძმები ნატროშვილების ახალი წარმატება

7-8 ივლისს ქალაქ თბილისში ჩატარდა შეჯიბრი აზიის თასზე, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სასომხეთის, ირანის და შუა აზიის ქვეყნები. მათ შორის მონაწილეობა მიიღო ზემო მანჩანის ორთაბრძოლების გუნდის სამმა სპორტსმენმა. ესენი არიან ძმები ნატროშვილები.

ბრძოლა წესების გარეშეთი ჩემპიონი გახდა 40კგ-ში გიორგი ნატროშვილი. 34კგ-ში ჩემპიონი გახდა სანდრო ნატროშვილი.

ბრძოლა K-1-ის წესებით თავისზე საკმაოდ მძიმე წონებთან მოუხდა ბრძოლა სოსო ნატროშვილს და დაიკავა მეორე ადგილი.

ბანაღი ნატროშვილი

# ნი ყ ი დ ე ბ ა !

**იყიდება** მალაზიის შენობა დედოფლისწყაროში ყველა საჭირო ინვენტარით. 100 კვადრატული მეტრი საფარო დარბაზით, 200 კვადრატული მეტრი დამხმარე სათავსოებით და ეზოს ფართით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 599 26 80 28; 557 75 03 01

**იყიდება** ნიკორციხის ქუჩა N41-ში, საავადმყოფოს გვერდზე მდებარე კორპუსში, ორ ოთახიანი გარემონტებული ბინა. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 558 44 72 34

**სასწრაფო იყიდება** ქალაქ დედოფლისწყაროში, ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში — „ჯარის წყლის“ მიმდებარე ღვთისმშობლის ქ. N5-ში ორსართულიანი კაპიტალური ბინა კარგ მდგომარეობაში, ეზოთი, ბაღით, სათავსოებით, გარაჟით, უზრუნველყოფილი წყლით, ბუნებრივი აირით, ყით. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით: 592 78 53 42, გელა პოპიაშვილი.

ორსართულიანი აგურით ნაშენი კეთილმოწყობილი ბინა, სათავსოებით, დიდი ადგილით და ეზოთი, თაღრით. ორი ცალი ნომერიანი სამეფო პალატი. ქ. დედოფლისწყარო, ევდომილის პირველი შესახვევი N3. ტელეფონი: 597 000 677.

**ყურადღება!** ხანდაზმულ ქალბატონს ესაჭიროება 20-55 წლის კეთილსინდისიერი და მხმარე ქალი. სასურველია, არ იყოს დაკავებული საკუთარი ოჯახური საქმიანობით. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით: ტელ: 22-51-63; მობილური: 593-18-14-77; 790-67-52-75 ან მიაკითხეთ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, ქიზიყის ქ.№31

# ამინდი დედოფლისწყარო

შაბათი 014.07	კვირა 15.07	ორშაბათი 16.07	სამშაბათი 17.07	ოთხშაბათი 18.07	ხუთშაბათი 19.07	პარასკევი 20.07
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე
26°	20°	19°	18°	22°	20°	24°
24°	22°	25°	24°	24°	22°	20°
24°	22°	20°	19°			

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილობითი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორო.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორექსორები); მინაილ მკვირიშვილი (სტილისტ-მხევერი); ნათელა მოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფინანს-მხევერი); მზინა ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბდოდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში	რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფრონის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	---	---	---